ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 15

2023 წლის 31 მაისი

დ.სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტისა და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულების, „ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულების, „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე და ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულების შესაბამისად,

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში (w.w.w.matsne.gov.ge 23.12.2022, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.151.016348) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე: **დავით ქირიკაშვილი**